არ გალანძღოთ ქარი, თუ ნახავთ იმას, რაც არ მოგწონთ თქვით: ''ღმერთო ჩვენო, ჭეშმარიტად, შენ გთხოვთ ამ ქარისგან სიკეთეს, სიკეთეს რაც მასშია, და სიკეთეს რაც მას ებრძანა. შენ შეგეფარებით ამ ქარის უბედურებისგან, რაც მასშია, და რაც მას ებრძანა

უბაი იბნ ქა'ბმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ გალანძღოთ ქარი, თუ ნახავთ იმას, რაც არ მოგწონთ თქვით: ''ღმერთო ჩვენო, ჭეშმარიტად, შენ გთხოვთ ამ ქარისგან სიკეთეს, სიკეთეს რაც მასშია, და სიკეთეს რაც მას ებრძანა. შენ შეგეფარებით ამ ქარის უბედურებისგან, რაც მასშია, და რაც მას ებრძანა».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა ქარის ლანძღვა და წყევლა, ის მხოლოდ თავისი გამჩენის ბრძანებას ასრულებს, ის ზოგჯერ წყალობით მოვა, ზოგჯერაც - რისხვით, მისი ლანძღვა კი მისი გამჩენი ალლაჰის ლანძღვას და მისი ბედისწერის მიმართ უკმაყოფილობის გამოხატვას ნიშნავს, შემდეგ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიუთითა, რომ მის გამჩენს ალლაჰთან უნდა იქნეს მიმართული და მას უნდა ვსთხოვოთ ქარისგან მოტანილი სიკეთე, სიკეთე რაც მასშია, და ის სიკეთე რომლისთვისაც გამოიგზავნა, როგორიც არის წვიმა, მტვერის გადატანა, (ნაყოფთა დამტვერიანებისთვის) და მსგავსი. ასევე ალლაჰს უნდა მივეკედლოთ მისი ბოროტებისგან, მასში არსებული ბოროტებისგან, და იმისგან რისთვისაც ის წარმოიგზავნა, მაგალითად, მცენარეების და ხეების განადგურება, ცხოველების განადგურება, ნაგებობების დანგრევა, და სხვა მსგავსი. ამ ყველაფრის ალლაჰზე თხოვნა კი ალლაჰის მიმართ თაყვანისცემის გამოვლინებაა.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/5976